

გარტლას, გვეთვალოს და ვერ დაგვეთვალოს!

ყოველდღიურად სასიხარულო ცნობები მოდის რედაქციაში საქართველოს სპორტსმენთა საამაჟო წარმატებების შესახებ

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაგარი: ბიზლიროთა

● ოპროს მადლაზი

ბატუტზე ხტომა — ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (სტოკჰოლმი). ზაზა აბრამიშვილი (ერთეულთა თანრიგი); ზაზა აბრამიშვილი (წყვილთა თანრიგი); ლია ბენდიანიშვილი — ანა დოლონაძე (სინქრონული დუეტი); ანა დოლონაძე (ერთეულთა თანრიგი). ქართველ სპორტსმენებს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გუნდური პირველობის მედალიც ხვდათ.

მკლავშილი — საერთაშორისო ტურნირი „მოსკოვური დათვები“. მოსკოვი. გია გვიჩიანი; საქართველოს გუნდი (ინვალიდებს შორის).

● ვერცხლის მადლაზი

მკლავშილი — საერთაშორისო ტურნირი „მოსკოვური დათვები“. ლევან ჟამიაშვილი (ინვალიდთა შორის); ჯიმშერ მერაბიშვილი; ზაურ ცხადაძე, გელა ბეწუაშვილი; საქართველოს ნაკრები გუნდი.

სპარტატიკა — მოხწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით. რევაზ ბაცაშვილი, მირიან ტოკლიკაშვილი, შალვა სამხარაძე, გელა შაროვი (ჭკუით ვარჯიში).

ჩობბურთი — იოსებ სიამაშვილი.

● ბრინჯაოს მადლაზი

მკლავშილი — საერთაშორისო ტურნირი „მოსკოვური დათვები“. დავით ჩიტაძე.

სპარტატიკა — მოხწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით. კახაბერ ქათამაძე (სტომები); ზვიად ხუციშვილი, ვახტანგ თოთლაძე (წყვილთა ვარჯიში).

ნიჩბოსნობა — (ბაიდარა, კანოე). კობა ტაბატაძე, ზვიად თოდუა, ლევან ვაზაგაშვილი, დავით ბერიკაშვილი (ოთხადგილიანი ბაიდარა).

საქართველოს სპორტსმენთა საამაჟო წარმატებების შესახებ

ბრიჯი — მინვაპა მსოფლიო ჩემპიონატზე

წარსულში, რომლის დედანსაც აქვე გთავაზობთ, ბრიჯში მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და ევროპის ფედერაციის პრეზიდენტი ჟოზე დამიანი საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაციის თავმჯდომარეს დოქტორ აპოლონ სილაგაძეს აუწყებს, რომ დიდი სიხარულით შეიტყუებს საქართველოს წარმომადგენელთა სურვილი მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის თაობაზე. ეს საკითხი ოფიციალურად განუხილავს ბრიჯის მსოფლიო ფედერაციას (გბფ) და საქართველოს გუნდს ნება დართო იასპარეზოს ჩემპიონატში, რომელიც 31 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე გაიმართება. ორგანიზატორები სასწრაფოდ ითხოვენ მონაწილეთა გვარებს. სამწუხაროდ, როგორც გუშინ გვაცნობეს, საქართველოს გუნდი ჩემპიონატზე ამჟამად ვერ გაემგზავრება, რადგან საბუთების მოსამზადებლად დრო აღარ რჩება. საერთაშორისო ფედერაციასთან კონტაქტები გაგრძელდება.

JOSE DAMIANI
CHAIRMAN OF THE
ORGANIZING COMMITTEE

Attention Dr Apolon Silagadze
From : José DAMIANI
28/06/1990



Dear Mr Silagadze,

We have great pleasure to know that you will participate in the World Bridge Championships to be held in Geneva from August 31 to September 15.

After the official decision of the WBF to accept your entry you will be welcome with your team. Please let us know as soon as possible the names of the players.

Kind regards

po José DAMIANI

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

22 აპრილი, ოთხშაბათი, 1990 წ.

№ 158 (10 827) • ზანი 8 კაპ.

გაზეთის 1934 წლის 13 აპრილიდან



ანა დოლონაძე და ლია ბენდიანიშვილი



განმეორებული და... ახალი სიხარული



ზაფხულის არდადეგები რომ არა, ალბათ, უფრო მეტი მაყურებელი ეყოლებოდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ შეხვედრებს ხელბურთსა და კალათბურთში. თუმცა, ვფიქრობ, თბილისელი გულშემატკივრები კმაყოფილი დაბრუნდებიან ამ ტურნირებზე გამართული საინტერესო შეხვედრებიდან.

ჩვენს ხელბურთულ გოგოებს ერთ-ერთი გადაწყვეტილი მატჩი ტურნირის ბოლოსწინა დღეს უნდა ჩაეტარებინათ უკრაინელებთან. უკრაინელებს ქალთა ხელბურთში ჩვენზე

უკეთესად აქვთ საქმე, ასე რომ, მწელად თუ ვინმე წარმოიდგინდა, თუ საქართველოს სპორტსმენები ფინალურ ტურნირში მთავარ მეტოქეებს დაჯახდებიან.

უკრაინელთა მწვრთნელი მთელი თამაშის განმავლობაში მსაჯთა ყოველ სასტვენზე უკმაყოფილებას გამოხატავდა, მაგრამ მსაჯობა რა შუაში იყო, როცა ჩვენმა გოგოებმა მეტოქე გუნდის წევრებს გამარჯვების მცირე იმედს კი არ დაუტოვეს. პირველ ნახევარში საქართველოს სპორტსმენები, ცოტა არ იყოს, დელაიდნენ, რამდენიმე ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს, მაგრამ ტიმი მაინც მოიგეს — 10:8. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა უფრო დამაჯერებლად ითამაშეს, დაცვაშიც უსუსტად მოქმედებდნენ და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 20:14.

ლიყენინ მოედანზე ლატვიელებთან თამაშში ჩვენს მწვრთნელს შეეძლოთ უარი ეთქვათ ამ თამაშზე, მაგრამ ისინი დარწმუნებული იყვნენ გუნდის სიძლიერეში, ამასთან, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებსაც არ უღალატეს და შეხვედრაც გაიმართა.

გამოცდილ სპორტსმენებსაც კი უჭირთ ერთ დღეს ორი შეხვედრის ჩატარება, ამიტომ პირველ ნახევარში მცირეოდენ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ და ტაიმიც მათ მოიგეს — 10:8. მეორე ნახევარში ჩვენმა გოგოებმა უმატეს ტემპს და კარგად აღებული „სტარტი“ შესანიშნავად დაასრულეს — 24:22 და მარცხს მეტოქე და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს! მათი გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა, რადგან ჩვენში ხელბურთული ქალები თუ გოგოები მიღწევებით ვერ დაიკვირნან. ახლა კი, ეტყობა, ყინული დაიძრა. საქართველოს ნაკრები დაკომპლექტებული იყო თბი-

გუზინ...

წვალბურთელთა მორიგი ტურის მატჩები ახე დამთავრდა: საქართველო — სომხეთი 11:7, უკრაინა — აზერბაიჯანი 10:8, მოლდოვა — მოსკოვი 5:7. დღეს საქართველოს ნაკრები უკრაინის გუნდს შეხვდება.

ამ დღეს საქართველოს გუნდის წევრებს კიდევ ერთი გამოცდა ელოდათ: ლატვიელთა გუნდმა ვადაზე ადრე გადაწყვიტა გამარჯვება და მასპინძლები იძულებულნი გახდნენ ერთი საათის შემდეგ კვლავ გამოსულიყვნენ.

№ 33

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

დღეს ადრინდელზე უკეთ, ხვალ პრიზიორთა შორის

ადრინდელზე უკეთ იასპარეზეს საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა მინსკში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ ტურნირზე. ჩვენმა ქაბუკებმა და გოგოებმა შესაბამისად მეხუთე და მეექვსე გუნდური ადგილები მოიპოვეს.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები პირად პირველობაში. რგოლებით ვარჯიშში ქაბუკებს შორის პირველობა არავის დაუთმო. ბათუმელმა გენადი სურმანიძემ. მას მრავალკაციანი ჰქონდა წარმატების მოპოვების შესაძლებ-

ლობა, მაგრამ ბლო მომენტში „გააფუტა“ ვარჯიში და, საბოლოოდ, მეხუთე ადგილზე გავიდა. მანვე მეექვსე შედეგი აჩვენა ტაიპზე ვარჯიშში.

კარგად გამოვიდნენ და გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცეს ნიკოლოზ ზუბაშვილი (ორძელი — V ადგილი, მრავალკაციანი — VI), ლევან სენიაშვილი (მრავალკაციანი — X ადგილი), ილია ვაშაყიძე (რგოლები — V ადგილი, მრავალკაციანი — XIV), ვიორჯი კოსტანიანი (სტომები — II ადგილი, მრავალკაციანი — XVIII) და ნიკოლოზ ბარამიძე (ტიპი —

III ადგილი, მრავალკაციანი — XXV). ჩვენი გუნდის ყველა წევრი, გარდა გ. სურმანიძისა, თბილისელია. ბარამიძე, ვაშაყიძე და კოსტანიანი ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით გამოდიოდნენ, ხოლო სურმანიძე, ზუბაშვილი და სენიაშვილი — პირველთაწილის მონაწილეები. კიდევ ერთი ქართველი ტანმოვარჯიში, 12 წლის ილია ვიორჯაძე ასპარეზობდა პირველთაწილის მონაწილეს შორის. მან მართლაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — სხვადასხვა სახეობაში ოთხი მედალი მოიპოვა: „ოქრო“ — სტომებში, ორი „ვერცხლი“ — მრავალკაციანი და თვითუფალ ვარჯიშში, „ბრინჯაო“ — რგოლებზე. დასანანი, რომ ეს ნიჭიერი ტანმოვარჯიშე მხოლოდ პირად პირველობაში ასპარეზობდა და გუნდს ჩასაბრუნებლად არ აძლევდა. საქმე ისაა, რომ ილია 1978 წელსაა დაბადებული, ხოლო სპარტაკიადებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ 1977 წელსა და მანამდე დაბადებულ მოზარდებს. ვიორჯაძე შეჯიბრებაზე დაუშვეს როგორც გამონაკლისი, ისიც მხოლოდ პირად პირველობაში.

პირად პირველობაში ქართველი ტანმოვარჯიშე გოგოების შედეგები ქაბუკებთან შედარებით ერთობ მოკრძალებულია, თუმცა აქაც გვაქვს ორი მედალი — ერთი „ოქრო“ და ერთი „ბრინჯაო“. ორივე ჯილდო გუნდს ქუთაისელმა სოფიკო მანა-

გაძემ მოუტანა: ოქროს მედალი თვისუფალ ვარჯიშში მოიგო, ხოლო ბრინჯაოსი — მრავალკაციანში. მანამდე სტომებში მეხუთე იყო. სხვათა შორის, სოფიკომ თვენახევარი რაც ვარჯიში განაახლა ტრავმის შემდეგ. ბოლო მომენტამდე არ იყო გადაწყვეტილი, იასპარეზებდა თუ არა მოსწავლეთა სპარტაკიადებზე, მაგრამ მისივე დაყენებული თხოვნით, მანაც შეიყვანეს ნაკრებში. გამართულ კიდევც ეს წარმატება მით უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მანამდე სპორტის ოსტატების პროგრამით გამოდიოდნენ. ამავე რანგის ტანმოვარჯიშეთა ტურნირში ასპარეზობდნენ მარინე სეგუა (ქუთაისი), თეა თოდ-

№ 33

საპარტოვლოს 23-ე ჩაპირონატი რეპერტორი



პირველი ეტაპზე გადგინდეს შესაძლებლობა განმარტების განრიგი

„ა“ ჯგუფი: 25.08 „მიმინო“ — „აია“; 4.09 „აია“ — „შეგარდენი“; 9.09 სტუ — „აია“.

„ბ“ ჯგუფი: 25.08 „ელმაგალი“ — „გელატი“; 4.09 „ელმაგალი“ — „ზოვეტი“; 6.09 „ელმაგალი“ — „უნივერსიტეტი“; 9.09 „სათაფლა“ — „ზოვეტი“.

მეორე ეტაპის შესაძლებლობა განმარტების

უძლიერესთა ჯგუფი
(შეჯიბრება I-IV ადგილებისთვის;
XI-XV ტურები)

16.09 „მიმინო“ — „ასოციაცია“;
22.09 „ასოციაცია“ — „მიმინო“;

27.09 „მიმინო“ — „ელმაგალი“; 7.10 „აია“ — „ასოციაცია“; 16.10 „ელმაგალი“ — „აია“; 31.10 „ასოციაცია“ — „აია“; 1.11 „ელმაგალი“ — „მიმინო“; 5.11 „აია“ — „ელმაგალი“; 10.11 მცირე ფინალი (შეხვედრა მესამე ადგილისათვის); 11.11 ფინალი (შეხვედრა პირველი ადგილისათვის).

ხანუგეშო ჯგუფი (შეჯიბრება V-XII ადგილებისთვის)

XI ტური: 15.09 „შეგარდენი“ — „ზოვეტი“; 16.09 „აკადემია“ — „გელატი“; „იმერეთი“ — „უნივერსიტეტი“; „სათაფლა“ — სტუ.

XII ტური: 22.09 „გელატი“ — „იმერეთი“; „ზოვეტი“ — „აკადემია“; 23.09 სტუ — „უნივერსიტეტი“.

ტი, „შეგარდენი“ — „სათაფლა“.

XIII ტური: 29.09 „უნივერსიტეტი“ — „შეგარდენი“; 30.09 „სათაფლა“ — „აკადემია“; „იმერეთი“ — „ზოვეტი“; 3.10 სტუ — „გელატი“.

XIV ტური: 6.10 „აკადემია“ — „უნივერსიტეტი“; 7.10 „სათაფლა“ — „იმერეთი“; „ზოვეტი“ — სტუ; 9.10 „შეგარდენი“ — „გელატი“.

XV ტური: 13.10 „ზოვეტი“ — „შეგარდენი“; 14.10 „გელატი“ — „აკადემია“; „უნივერსიტეტი“ — „იმერეთი“; სტუ — „სათაფლა“.

XVI ტური: 20.10 „უნივერსიტეტი“ — სტუ; 21.10 „აკადემია“ — „ზოვეტი“; „სათაფლა“ — „შეგარდენი“; 23.10 „იმერეთი“ — „გელატი“.

XVII ტური: 27.10 „შეგარდენი“

„უნივერსიტეტი“ 28.10

„სათაფლა“; „ზოვეტი“ — „იმერეთი“; „გელატი“ — სტუ.

XVIII ტური: 3.11 სტუ — „ზოვეტი“; 4.11 „უნივერსიტეტი“ — „აკადემია“; „იმერეთი“ — „სათაფლა“; „გელატი“ — „შეგარდენი“.

შეჯიბრება ახალბედთა ჯგუფი (მეცამეტე და მომდევნო ადგილებისთვის) გაიმართება 22 სექტემბერს 28 ოქტომბრამდე. მოთხოვნის შემთხვევაში თავიანთი განზრახვა რაგბის კემპის წევრობით უნდა აცნობონ 9 სექტემბრამდე.

რაგბის კემპის სახელმძღვანელო კომიტეტი

აპჯერად შაპარტოვლო



ბოლო. 23 წლის ლენინგრადელ ველოსიპედისტს ალექსანდრე კირიჩენკოს სახელი და დიდება არ აკლდა. იგი ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდმენია 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში, რამაც მას პლანეტის უძლიერესი მგბოლის სახელი მოუტანა. მაგრამ იგი დღემდე მინც გულწაქვლილი იყო იმის გამო, რომ მსოფლიო ჩემპიონის წოდება არ ჰქონდა. არადა, იგი ახლოს იყო ამ მიზანთანაც. შარშან, მაგალითად, დასაინამა შემთხვევამ (საუბრე გაუტყდა) შეუშალა ხელი და ლიონში მხოლოდ მესამე ადგილი ერგო. თვით ოლიმპიური „ოქროცი“, თუ ვახსოვთ, საბურავდაშეგებულმა მოიგო სეულში. აწვევად კი იაპონიის ქალაქ მიაგაში ველოსტრეის ბილიცი, სადაც მორიგი მსოფლიო პირველობა მიმდინარეობს, საიმედო გამოდგა მისთვის — კოლომეტრიანი მანძილი შესანიშნავი შედეგით გაიჭროლა — 1.03,565 წამი და გამარჯვა კიდევც. მეორე ადგილზე ავსტრალიელი მარტინ ენიკომბი — 1.03,919, მესამეზე — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი იენს გლოუკისი (გდრ) — 1.04, 210.

კოსტადინოვა იხედაინადა

როგორც ცნობილი გახდა, თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი სიმბოლე მტომელი ქალი, მსოფლიო რეკორდმენი, ბულგარელი სტეფკა კოსტადინოვა ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს. საქმე ისაა, რომ მან ამას წინათ საკმაოდ მძიმე ოპერაცია გადაიტარა და მთლად არაა მომარტობული.

კოსტადინოვა მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად ითვლება, ვინაიდან უმაღლესი მიღწევა აქვს ნახევრები, როგორც ლია ცის ქვეშ, ისე დარბაზში. მან ევროპის უძლიერესი მტომელის სახელი მოიპოვა 1986 წელს შტუტგარტში გამართულ ჩემპიონატში.

აი, რა განაცხადა კოსტადინოვამ კორესპონდენტებთან საუბარში: „ფეხის ტრავმა აპრილში მივიღე. ოპერაცია დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში გამოკეთეს. ათი დღეა, რაც ფეხზე დავდები, მაგრამ დამოუკიდებლად სარეალიზაციო მინც არ შემიძლია. ხუმრობა ხომ არაა. ექვსი კვირა გაუძირველად ვიწევი ჰოსპიტალში. ექიმებმა დამარწმუნეს, რომ წლის ბოლოს შევძლებ შეჯიბრებებში მონაწილეობას. ამის იმედით ძალას მმარტებს და მაცოცხლებს“.

„სკორპიონი“

22-ე ტორაპის შედეგები (17-18 აგვისტო)

1-1, 2-1, 3-X, 4-2, 5-1, 6-1, 7-2, 8-1, 9-2, 10-1, 11-1, 12-1, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

ყველაფერი ფრანგურითაა

ცოტა ხნის წინათ ლოზანაში (შვეიცარია) შედგა ფრანგურის საერთაშორისო ასოციაციის (ფიფე) აღმინისტრაციული საბჭოს ყოველწლიური სხდომა. ფედერაციის საქმიანობის 1989 წლის შედეგები შეაჯამა მისმა პრეზიდენტმა, მექსიკელმა რუბენ აკოსტამ. სხდომაში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩამ. ლოზანაში მიიღეს ცალკეული დღეები, რომლებიც განსაზღვრეს ფიფე-ის უახლოესი საქმიანობის პერსპექტივები. ფედერაციის შედეგადაა ახალი წევრი-გერანადა. ახლა მასში 178 ეროვნული ფედერაციაა გაერთიანებული.

მსოფლიო ჩემპიონატები ახალი ფორმულით

მოახლოებული ჩემპიონატები ქალთა (ჩინეთში) და ვაჟთა (ბრაზილიაში) ახალი სისტემით ჩატარდება. თავდაპირველად, ჩემპიონატში მონაწილე თექვსმეტი გუნდი ითხ „ა“, „ბ“, „ც“ და „დ“ ჯგუფებში განაწილებიან და ერთმანეთთან წრიული სისტემის მატჩებს გაითამაშებენ. ნაკრებები, რომლებიც თავიანთ ჯგუფებში პირველ ადგილზე დაიკავენ, ფინალურ ტურნირში ჩაებმებიან, წინასწარ ითამაშებენ ნახევარფინალურ მატჩებს „ე“ ჯგუფში (ნახევარფინალისტების წყვილთა შემადგენლობას წილისყრა განსაზღვრავს). ამის შედეგად „ნ“ ჯგუფის ფინალური მატჩის პრეტენდენტები გამოვლინდებიან.

ეს ნაკრებები შეხვებიან „ფ“ ნახევარფინალში გამარჯვებულებს, რომელშიც ჯგუფურ ტურნირებში მე-2 და მე-3 ადგილებზე გასული გუნდები იმყოფებიან. ამ შეხვედრებში გამარჯვებულები ერთმანეთთან გამართავენ მატჩებს — I-IV ადგილებისათვის, დამარტებულები კი V-VIII ადგილებს გაითამაშებენ. IX-XII ადგილებს ერთმანეთს შეეცილებიან ნახევარფინალურ „ფ“ ჯგუფში ხელმოცარული გუნდები. დაბოლოს, XIII-XVI ადგილებისათვის იბრძობებენ გუნდები, რომლებმაც ჯგუფურ ტურნირებში ბოლო, მე-ოთხე ადგილი დაიკავეს.

განხილულია განაცხადები

ფიფე-ის სხდომაზე განიხილეს საბერძნეთისა და იტალიის ეროვნული ფედერაციების განაცხადები 1994 წლის მსოფლიო პირველობების ჩატარებაზე. აღინიშნა, რომ განაცხადები მხოლოდ ამ შემთხვევაში დაქვეყნდებიან, თუ აღნიშნული ფედერაციები უახლოეს ხანში წარმოადგენენ ესოდენ მაღალი რანგის შეჯიბრების ჩატარებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი პირობის განმარტებას.

„დიდი ოთხეულის“ შეჯიბრება

„დიდი ოთხეულის“ ტურნირების საპრიზო ფონდი წლეულს რე-

კორდულია — 700 ათასი დოლარი. მას თანაბრად გაინაწილებენ ვაჟთა და ქალთა ტურნირები.

როგორც ცნობილია, „დიდი ოთხეულის“ ტურნირები, რომლებშიც ქალთა და ვაჟთა დები უძლიერესი ნაკრები გუნდები მონაწილეობენ, მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების ჩატარების წლებში ეწყობა. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ის ეროვნული ფედერაციები, რომელთა გუნდები არ მიიღებენ მონაწილეობას „დიდი ოთხეულის“ შეჯიბრებებში, მკაცრი სანქციების მსხვერპლი გახდებიან.

წლეულს ქალთა ოთხი უძლიერესი გუნდი 9-14, ხოლო ვაჟთა გუნდები 16-21 ნოემბერს ერთმანეთს იაპონიაში შეხვდებიან. ამასთან, ითქვა, რომ თითოეულ ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის ცხრა მონაწილე უნდა იყოს.



„დიდი ოთხეულის“ ტურნირებში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატში პირველმესამე ადგილებზე გასული გუნდები და იაპონელები — ტურნირის მასპინძლები. „დიდი ოთხეულის“ ქალთა ტურნირის წინ გაუსწრებს 3-5 ნოემბერს გათვალისწინებული ჰონკონგის შეჯიბრება.

მსოფლიო ლიგა-91

1991 წლის მსოფლიო ლიგის ტურნირის მონაწილე თორმეტი ქვეყნის ეროვნულმა ფედერაციამ უნდა წარმოადგინოს რომელიმე ეროვნული ტელეკომპანიის წერბლობით ვებულელება ტურნირის გასაშუქებლად თითოეული მატჩის ერთი საათის ხანგრძლივობით ვადაცემის თაობაზე.

დასახელებულ ტურნირში მონაწილეობის განაცხადები უკვე წარადგინა საბერძნეთმა, შვეიცამ, სამხრეთ კორეამ, კანადამ, კუბამ, ბულგარეთმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და ესპანეთმა.

„გრან პრი“ ქალბუნსათვის

1991 წლიდან ფრანგურის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში ახალი შეჯიბრება გაინდება — „გრან პრი“ ქალთა გუნდებისათვის ტურნირი, რომელშიც რვა ნაკრები (ოთხი ევროპიდან) მიიღებს მონაწილეობას, სამ ეტაპად ჩატარდება 1 მაისიდან 30 ნოემბრამდე.

მსოფლიო თასი

1991 წელს მსოფლიოს თასი ქალთა გუნდებისათვის გაითამაშდება 8-17 ნოემბერს, ვაჟებისათვის 22 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე იაპონიაში. გამარჯვებული გუნდები ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის უფლებას მიიღებენ.

იუნორები და ახალგაზრდობა

იუნორთა მსოფლიო ჩემპიონატს 1991 წლის 11-23 ნოემბერს უმასპინძლებს ეგვიპტე. ახალგაზრდობის მსოფლიო ტურნირი კვლავ ჩატარდება აფრიკაში იმის გამო, რომ ევროპის თქვა გოგონათა 1991 წლის მექსიკამ ახალგაზრდობის ჩემპიონატების ჩატარებაზე იგბი მზად არის სხვა კანდიდატების მსახილველად.

მსოფლიო ჩემპიონატები საკლუბო გუნდებისათვის

ვაშტა, საკლუბო გუნდების მორიგი მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ორგანიზაციის დაკავშირებული აქვს იტალიურ „კლუბ 27 ნოემბრიდან“ (მილანი) და მოეწყობა 27 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე ტურნირი რვა უკლდური გუნდის ჩაებმებზე. ქალთა საკლუბო გუნდების პირველი მსოფლიო ჩემპიონატი კი ჩატარდება 1991 წელს ბრაზილიაში.

ფრანგურით და ოლიმპიური თამაშები-92

ფიფე-მა მოისმინა ოლიმპიადა-92 საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაციის ინფორმაცია ფრანგურით ტურნირის ჩატარების მოსაზრებელ სამუშაოებზე.


ვაჟთა გუნდების (12 ნაკრები) შეჯიბრებები ჩატარდება 26 ივლისიდან 10 აგვისტომდე, ქალბუნსა კი 29 ივლისიდან 8 აგვისტომდე.

მოიწონეს ოლიმპიადაზე ხაფრენტურით ტურნირის ჩატარების ახალი სისტემა, რომელიც, სიმართლე რომ ვთქვათ, ცოტათი თუ განსხვავდება ცოტა ხნის წინათ დამტკიცებული მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების სისტემისაგან.

რაც შეეხება საკლუბო ფრანგურის განვითარების პერსპექტივას, ითქვა, რომ მას ოფიციალურად წარადგინენ ბარსელონის ოლიმპიადაზე, სადაც ტურნირი საანგვეზოდ მოწყობილ მოედანზე ჩატარდება.

მოამზადა გელა ჯილაურამ

ჩოგბურთის აპჯერადი



ლეს-ანჯელისი. აქ დამთავრებული „ვინჯინია სლომის“ ტურნირის გამარჯვებულის სახელი დაიმკვიდრა 16 წლის იუგოსლავიელმა მონიკა სელებმა, რომელმაც უაღრესად დამაბულ ფინალურ მატჩში „მოგება გამოსტაცა“ ამერიკელ მატრინა ნავრატოლოვას — 6:4, 3:6, 7:6.

სეულში — მსოფლიოს მესამე რანგის, ნავრატოლოვა — მეორე, ხაფრანგეთის ლია პირველობის ნორჩმა გამარჯვებულმა შეშლო დამტკიცებინა, რომ იგი უიმბლდონის ჩემპიონზე უძლიერესია.

ამერიკაში მცხოვრები იუგოსლავიელი სელებისათვის ეს შედეგი მოგებულ ტურნირშია წესის მან მარტიდან მოყოლებული 42 მატჩი გამართა და მხოლოდ ერთში (უიმბლდონის ნახევარფინალი) იწვინა მარცხი. ნავრატოლოვა კი წელს მეორედ დაჯანა სეულში.

ნაუ-პეიპენი (აშშ). ეოლოვოს ტურნირში მონაწილე ამერიკელმა დენი ლისტონმა ნახევარფინალში ანჯელის ანდრეი ჩესნოკოვის დასატიების შემდეგ გადამწყვეტ მატჩშიც მოიწვია წარმატება და ფრანკო დაიკავა ავსტრალიელ მეტოქეს ტოდ ვუდბრიჯს — 6:3, 6:3. 24 წლის როსტონი პირველად მოიგო უმაღლესი რანგის საერთაშორისო ტურნირი და 137.500 დოლარი „ნაიჩხრიალა“ ჯიბეში.

ინფორმაციის (აშშ). დასავლეთის

ჩემპიონატის ბორის ბეკერისათვის ეგვიპტელ სერგის საუკეთესოს გაა უნდებს კაცი: სამი უკანასკნელი ფინალი, მათ შორის, უიმბლდონისაც, მან დათმო. წარუმატებლობათა სერია მაშინ შეწყდა, ამ ქალაქში გამართულ ტურნირში რომ იკითხავა. ფინალში მისი მეტოქე იყო შედრე პეტრე ლუნდგრენი, რომელმაც წინა დღეს ასპარეზობიდან გამოთიშა ერთ-ერთი ფავორიტი ანდრე აგასი (აშშ), ბეკერთან კი ასეთი ანგარიშით დამარტცხა — 3:6, 4:6.

რედაქტორი თენგიზ ბაჩიჩილაძე

საპარტოვლოს ფიციური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა საპარტოვლო

ინსტიტუტის დეკანობით, რომ შემოღის მრავალი შეკითხვა ახალი სასწავლო წლის დაწყების თარიღის თაობაზე, ინსტიტუტის რექტორატი ვაცნობებთ, რომ საქართველოს ფიციური კულტურის ინსტიტუტში სწავლა დაიწება ა. წ. 8 სექტემბერს, წელს ჩარიცხულ I კურსელ სტუდენტებს შეუძლია ხაინტერესო ხაინტებზე უფროდით მიმართონ ფაქულტეტის დეკანატებს ა. წ. 27 აგვისტოდან.

„ლელო“ დღევანდელ ნომერზე მორიგობდა გ. ჩოჩიშვილი, კორექტორები მ. ძეძიძე და ც. ჩიტინიძე.

1990 წლის მისამართი:
წერილებისათვის — 880004,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეტენებისათვის — თბილისი, „ლელო“.

კავშირის კალენდრისათვის:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
ხაზგანი — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54,
„მერანი“ — 98-97-36, „მარტვი“ — 98-97-37.

1990
ინფორმაციის:
88485

საქართველოს კ. ც. ა. ამოცემის წარმომადგენელი დროის ორგანიზაციის წევრი, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იხედავს ინტერესებს და საუბრობს: ხაზარაულს, 29.
ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20